

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

22 მაისი 2019

თბილისი, საქართველო

სს "პერიტიჯ სიქიურითიზ"
საქართველოს ეროვნულ ბანკს**შესავალი**

შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“-სა და სს „პერიტიჯ სიქიურითიზ“-ს შორის 2017 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების დანართი N1-ის (შემდგომში „კონტრაქტი“) შესაბამისად, შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“-მ იკისრა ვალდებულება, მხარეთა შორის შეთანხმებული 3 000 მარწმუნებელი სტანდარტის საფუძველზე, განეხორციელებინა სს „პერიტიჯ სიქიურითიზ“-ის (შემდგომში „კომპანია“) მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის №145/04 ბრძანების მე-9 მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნებს (ამ დასკვნის დანართი N1) და ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის საკუთარი, კლიენტების სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების რეკონსილაციის ვალდებულების შესრულების დადასტურება.

ჩვენ მომსახურება შევასრულეთ მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტი 3 000-ით (შემოკლებით „მგსს 3 000“). ჩვენი ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ზკსს) 1 - ს, მარწმუნებელი და სხვა სახის მომსახურების გარიგებებისას. ამავდროულად, ჩვენ ვიცავთ დამოუკიდებლობისა და პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ნორმებს.

მხარეთა პასუხისმგებლობები

„კონტრაქტორი“ პასუხისმგებელია მოთხოვნის შესაბამისად ბრალეული გაჭიანურების გარეშე მიაწოდოს შემსრულებელს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია (მათ შორის ელექტრონული ფორმით) ხოლო ჩვენ პასუხისმგებლები ვართ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დამოუკიდებელი დასკვნის გამოტანაზე.

შესრულებული სამუშაო და გამოყენებული კრიტერიუმები

ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები:

- ✓ მოვიპოვეთ და შევამოწმეთ კომპანიის როგორც საკუთარი, ასევე კლიენტების სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების მოძრაობის სააღრიცხვო შიდა ჩანაწერები;
- ✓ მოვიპოვეთ და შევამოწმეთ კომპანიის საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხების მოძრაობის ამსახველი დოკუმენტები;
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის საიტიდან მოვიპოვეთ ინფორმაცია იმ ბანკების ლიცენზირების შესახებ, რომლებშიც კომპანიას გახსნილი აქვს ანგარიშები;
- ✓ ბანკებიდან გამოვითხოვეთ ნომინალური მფლობელობის ანგარიშებზე ფინანსური სახსრების მოძრაობის ამონაწერები ხელმოწერილი ფორმით და მოვიპოვეთ რწმუნება, რომ კომპანიას კლიენტების ფულადი სახსრები განთავსებული აქვს საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით;
- ✓ მოვითხოვეთ პლატფორმიდან ყველა კლიენტის სიის ამოღება საიდანაც მოხდებოდა შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით მათი სრულად შესწავლა, თუმცა კლიენტმა კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით უარი განაცხადა ამ ინფორმაციის მოწოდებაზე.

მოწოდებულ ინფორმაციაზე, ჩატარებული პროცედურებით ხარვეზები ან შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

მოდულიზებული მოსაზრება

ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ვასკვნით, რომ გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი გარემოებისა, სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“ შესრულებული აქვს სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანების (№145/04) მე-9 მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნები (დანართი 1) და ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის საკუთარი, კლიენტების სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების რეკონსილაციის ვალდებულება.

მოსაზრების საფუძველი

სს „ჰერიტიჯ სიქიურითიზ“ მიერ შესრულებული სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანების (№145/04) მე-9-ე მუხლის ხუტივე პუნქტების მოთხოვნები (დანართი 1) მაგრამ კლიენტების სრული სიის არ მოწოდების შედეგად, ვერ განხორციელდა ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის საკუთარი, კლიენტების სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების რეკონსილაციის ვალდებულება.

აუდიტის მონაწილე პარტნიორი ამ დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშში არის დავით გვეტაძე.

შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“-ს სახელით:

თბილისი, საქართველო

22 მაისი 2019



დანართი N1

ამონარიდი საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანების(Nº145/04) მე-9 მუხლიდან:

1. საბროკერო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს შიდა ჩანაწერებში, ბუღალტრულ პროგრამასა და, არსებობის შემთხვევაში, სავაჭრო პლატფორმაზე კლიენტების სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ერთმანეთისგან და საკუთარი სახსრებისგან გამოიჯვანა.
2. საბროკერო კომპანია ვალდებულია კლიენტების ფულადი სახსრები განათავსოს საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში, საბროკერო კომპანიასა თუ ცენტრალურ დეპოზიტარში ან განვითარებულ ქვეყნებში ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტში გახსნილ ნომინალური მფლობელობის ანგარიშებზე. დაუშვებელია ამ ანგარიშებზე კლიენტების ფულადი სახსრების გარდა სხვა ფულადი სახსრების განთავსება.
3. საბროკერო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს, რომ მის მიერ მესამე პირთან განთავსებული კლიენტის კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები გამიჯნული იყოს ამ მესამე პირის, საბროკერო კომპანიისა და მესამე პირის სხვა კლიენტის აქტივებისგან.
4. კლიენტების სახსრების განკარგვა უნდა ხდებოდეს მხოლოდ კლიენტთან დადებული ხელშეკრულების და/ან კლიენტების დავალებების პირობების შესაბამისად და არ უნდა მოხდეს მისი გამოყენება საბროკერო კომპანიის ან სხვა მესამე პირის საოპერაციო ან/და სხვა საქმიანობის დასაფინანსებლად.
5. საბროკერო კომპანია ვალდებულია კლიენტის კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არ გამოიყენოს საკუთარი ან ნებისმიერი სხვა პირის მიზნებისთვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მხარეებს შორის ხელშეკრულება ან კლიენტის დავალება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებაზე შესაბამისი განსაზღვრული პირობებით.